## საკონტროლო მატჩი ლესელიძეში

ლესელიძეში თბილისის “დინამომ” საწვრთნელი მატჩი გამართა ალმა–ათის “ქაირათთან”. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. 55–ე წუთზე შენგელიას გადაცემიდან კაკილაშვილმა გაიტანა გოლი, მაგრამ ალმა-ათელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა – 1:1.

თბილისის “დინამო” ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ქვანია), შენგელია.

**უ. ჭიჭინაძე (ტელეფონით, “ლელოს” სპეც. კორ.).**
**“ლელო”, 24 თებერვალი, 1982 წ.**